უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: "მე გავყავი ლოცვა ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად, და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც უთხოვს

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: "მე გავყავი ლოცვა ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად, და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც უთხოვს". როდესაც მსახური ამბობს: {დიდება ალლაჰს, სამყაროების მბრძანებელს!'} ალლაჰი ამბობს: 'დიდება მომაგო ჩემმა მორჩილმა.' როდესაც ამბობს: {მოწყალეს და შემწყალებელს} ალლაჰი ამბობს: ქება მომაგო ჩემმა მორჩილმა. როდესაც ამბობს: { განსჯის დღის მეუფეს} ალლაჰი ამბობს: 'დიდება მომაგო ჩემმა მორჩილმა, და ზოგჯერ ამბობს: ჩემს ხელთ მიანდო საქმენი ჩემმა მორჩილმა. როდესაც ამბობს: {მხოლოდ შენ გეთაყვანები და მხოლოდ შენგან ვითხოვ დახმარებას}, ალლაჰი ამბობს: ეს არის ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც ითხოვს. როდესაც ამბობს: {დაგვადგინე სწორ გზაზე, იმათ გზაზე, ვისაც წყალობა მიაგე, და არა მათ(გზაზე), რომელნიც შენი რისხვის ქვეშ არიან და, არც მათ გზაზე რომელნიც სწორგზას ასცდნენ!} ალლაჰი ამბობს: ეს არის ჩემი მორჩილისთვის და ჩემი მორჩილი მიიღებს იმას, რასაც ითხოვს".»

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ უზენაესმა ალლაჰმა თქვა ჰადის ყუდსში: "ლოცვაში სურა „ალ-ფათიჰა“ გავყავი ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის ორად. მისი ნახევარი ჩემია, ხოლო ნახევარი მისი." სურის პირველი ნაწილი წარმოადგენს ალლაჰის ხოტბას და დიდებას, რისთვისაც იგი საუკეთესო ჯილდოს მიმადლებს. სურის მეორე ნაწილი წარმოადგენს ალლაჰისადმი მუხლმოდრეკილ ვედრებას და თხოვნას, რომელზეც ალლაჰი უპასუხებს და მიანიჭებს იმას, რაც მას სთხოვს. როდესაც მლოცველი ამბობს: "დიდება ალლაჰს, სამყაროთა მფლობელს,“ ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე გამადიდა.“ როდესაც ის ამბობს: „მოწყალე, შემწყალებელი,“ ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე შემაქო, ღირსეული პატივი მიმაგო და აღიარა ჩემი გულუხვობა ყველა ჩემი ქმნილების მიმართ.“ როდესაც ის ამბობს: „განკითხვის დღის მფლობელს,“ ალლაჰი ამბობს: „ჩემმა მონამ მე განმადიდა,“ რაც მისი სრულყოფილი დიდების გამოხატულებაა. როდესაც მლოცველი ამბობს: {მხოლოდ შენ გეთაყვანები და მხოლოდ შენგან ვითხოვ შეწევნას}, ალლაჰი ამბობს: "ეს არის ჩემსა და ჩემს მორჩილს შორის". ამ აიათის პირველი ნახევარი ალლაჰს ეკუთვნის, რაც არის: {მხოლოდ შენ გეთაყვანებით). ეს არის ალლაჰის ღმერთობის აღიარება და მორჩილების გამოხატულება მლოცველის მხრიდან. ამით მთავრდება ის ნახევარი, რომელიც ალლაჰს ეკუთვნის. აიათის მეორე ნახევარი, რომელიც მსახურს ეკუთვნის, არის: {მხოლოდ შენ გთხოვ შეწევნას}. ეს არის ალლაჰისგან დახმარების თხოვნა და მისი დაპირება, რომ შეწევნას გაუწევს. როდესაც

მლოცველი ამბობს: {მატარე სწორი გზით, იმათი გზით, ვისაც წყალობა მიაგე, და არა მათი, ვინც შენი რისხვის ქვეშ არიან და ვინც გზას აცდა} ალლაჰი ამბობს: „ეს არის ჩემი მლოცველი მონის ვედრება და თხოვნა. ის მიიღებს იმას, რაც მთხოვა, და მე ვუპასუხე მის ვედრებას.“

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65099

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee